

ოქმი N11**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის**

2019 წელი, 7 აგვისტო
ქ. ოზურგეთი
11.00 სათი -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ბ.დოლიძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, შ.გოგიბერიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ნ.ორაგველიძე, დ.მდინარაძე, ვ.ბერიძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, გ.ჩავლეშვილი, რ.სკამკოჩაიშვილი, ვ.ნიჟარაძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, ვლ.ღლონტი, ლ.სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები-ი.სირაძე, ო.თოთიბაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვეორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 29-მ, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29-ხმით.

დღის წესრიგი

17.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ირაკლი სირაძე

ლელა საჯაია

დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 29-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯიამ დასვა შეკითხვა - რა იგულისხმება „სხვაგვარად დარეგულირებაში“ და „პირველი რიგის ნათესავის ქონებაში“, რაზეც მიიღო შესაბამისი განმარტება.

52.2. „ქალაქ ოზურგეთში გურამიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე შუქნიშნის განთავსების ორგანიზების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ოსიკო თოთიბაძე

ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 29-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ პროექტს თან უნდა ახლდეს ახსნა-განმარტებითი ბარათი, მომავალში კომისია არ განიხილავს ამ დოკუმენტის გარეშე წარმოდგენილ პროექტებს.

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ განაცხადა, რომ მოსახლეობა ითხოვს ანასეულისა და ნარუჯის გზების გასაყართან სათანადო საგზაო ნიშნის დაყენებას. განუმარტეს, რომ გათვალისწინებული იქნება ლაითურის გზის რეაბილიტაციისას.

53.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში (შეკვეთილში) ადგილობრივი მნიშვნელობის გზაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე

ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 29-ხმით

54.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: მალხაზ გორგოშიძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 29-ხმით

55.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: მალხაზ გორგოშიძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 29-ხმით

56.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სსიპ

საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის ასაშენებელი შენობის პროექტის მოწონების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ოსიკო თოთიბაძე

ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

57.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

საკითხების განხილვა - დამტკიცების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ გააკეთა განცხადება სამოქალაქო ბიუჯეტის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დანერგვის შესახებ. ეს წინადადება განხილულია ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე. გასათვალისწინებელია, რომ ქალაქ ოზურგეთში, წელს, სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, მოსახლეობის კენჭისყრით, გაიმარჯვა სამმა პროექტმა, რაც დემოკრატიის განვითარებაში წინგადადგმული ნაბიჯია და სასურველია მსგავად ბიუჯეტის შედგენა განხორციელდეს მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო